

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 24 იანვრის სხდომის
ოქმი N 1**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 24 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. სტუდენტ ვ.შალამბერიძის შესახებ
2. აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემის შესახებ
3. ფაკულტეტის საბჭოს და დეპარტამენტის ხელმძღვანელების არჩევნების შესახებ
4. ბიოლოგიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის დამტკიცება
5. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
6. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუდენტ ვ.შალამბერიძის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ მასთან შემოვიდა თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის ვახტანგ შალამბერიძის მიერ 2016 წლის 12 დეკემბერს სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის შესახებ. წერილს თან ერთვის სტუდენტის მმართველის ზაზა წაქაძის მოხსენებითი ბარათი, სტუდენტ ვახტანგ შალამბერიძის განცხადება (ახსნა-განმარტება), მისი ანკეტა და ამონაწერი სტუდენტური ბარათიდან, ასევე თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართები 1). საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვ.შალამბერიძემ 2016 წლის 12 დეკემბერს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა დაარღვია თსუ სტუდენტის შინაგანაწესი და უსაფრთხოების ნორმები. ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია რეაგირება მოახდინოს აღნიშნულზე.

საბჭოზე მოწვეული იყო სტუდენტი ვ.შალამბერიძეც. მან სინანული გამოთქვა მომხდარის გამო, სცადა თავის მართლება, ამასთან აღნიშნა, რომ მუშაობის გამო სწავლაში ხელი ეშლება და მისი დაბალი აკადემიური მოსწრება ამითაა განპირობებული.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, რ.გახოკიძემ. პროფესორები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ საბჭო შემოიფარგლოს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა სტუდენტ ვ.შალამბერიძისთვის საყვედურის გამოცხადების წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 2, წინააღმდეგი - 24, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მიეცეს სტუდენტი ვ.შალამბერიძეს სიტყვიერი გაფრთხილება 2016 წლის 12 დეკემბერს თსუ სტუდენტთა კავშირთა ტერიტორიაზე ჩადენილი საქციელის გამო.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემის სამუშაო ვერსია შეტანილი შენიშვნების გათვალისწინებით რამდენჯერმე დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. ამჟამინდელ ვარიანტში კიდევ ერთი შენიშვნა ჩაემატა სერვისებთან დაკავშირებით (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ო.მუკბანიანმა. მას აღნიშნულ სქემაში არ მოსწონს ის საკითხი, რომ ასისტენტ პროფესორი ზედმეტადაა დატვირთული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემა წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს და დეპარტამენტის ხელმძღვანელების არჩევნების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის საბჭოს ახალი შემადგენლობისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების არჩევის შესახებ დადგენილების პროექტი. დაზუსტდა არჩევნების ჩატარების დროც დეპარტამენტების მიხედვით. შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა არჩევნებთან დაკავშირებული სხვა პროცედურების შესახებ, აღნიშნა, რომ ყველა დეპარტამენტიდან უკვე მიაწოდეს საარჩევნო კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ფაკულტეტის საბჭოს ახალი შემადგენლობისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების არჩევნების გამოცხადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-19-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-6-ე მუხლის პირველი პუნქტის თანხმად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტის) საბჭოს არჩევნები.
2. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - 2.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 5
 - 2.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 5
 - 2.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 4
 - 2.4. ქიმიის დეპარტამენტი - 4
 - 2.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 5
 - 2.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი - 4
 - 2.7. გეოლოგიის დეპარტამენტი - 1
 - 2.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - 1.
3. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ჩატარდეს **2017 წლის 6 თებერვალს;**
 - 3.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 06.02.2017, 12:00-14:00 სთ
 - 3.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 06.02.2017, 11:00-13:00 სთ
 - 3.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 06.02.2017, 14:00-16:00 სთ
 - 3.4. ქიმიის დეპარტამენტი - 06.02.2017, 12:00-14:00 სთ
 - 3.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 06.02.2017, 11:00-13:00 სთ
 - 3.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი - 06.02.2017, 16:00-18:00 სთ
 - 3.7. გეოლოგიის დეპარტამენტი - 06.02.2017, 10:00-12:00 სთ
 - 3.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - 06.02.2017, 16:00-17:00 სთ.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღება საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით მოხდეს **2017 წლის 25 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით (10.00-17.00 სთ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში (მისამართი: თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი № 3, თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი 110).**
5. ერთზე მეტ დეპარტამენტში გაერთიანებული კათედრის აკადემიური პერსონალის განცხადების მიღება არჩევნებში, როგორც ამომრჩევლის, ასევე როგორც ასარჩევი პირის მონაწილეობს შესახებ მხოლოდ ერთი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში მოხდეს **2017 წლის 25 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით (10.00-17.00 სთ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. (მისამართი: თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი № 3, თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი 110).**
4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ბიოლოგიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ბიოლოგიის დეპარტამენტიდან წარმოადგინეს დეპარტამენტის კრების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ წამოყენებულია პროფესორ თ.ლეჟავას კანდიდატურა, ხოლო მდივნად - ასოცირებული პროფესორის თ.ჯოხაძის კანდიდატურა (იხ. დანართი 3).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ პროფესორ თ.ლეჟავას, ხოლო მდივნად - ასოცირებული პროფესორს თ.ჯოხაძეს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ პროფესორი თ.ლეჟავა, ხოლო მდივნად - ასოცირებული პროფესორი თ.ჯოხაძე.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიაშვილმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში “ქიმია”, საბაკალავრო პროგრამაში “გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია” და საბაკალავრო პროგრამაში “კომპიუტერული მეცნიერება”.

საბაკალავრო პროგრამაში “გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია” გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

1. გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასპეციალიზაციო სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა 45 კრედიტის ნაცვლად გახდეს 25 კრედიტი ორივე სასპეციალიზაციო მიმართულებისათვის, ხოლო დარჩენილი 20 კრედიტი შესაძლებელია შეივსოს ალტერნატიული სასპეციალიზაციო მოდულიდან;
2. სასწავლო კურსს „ბიომედიცინის ლაბორატორიული კვლევის მეთოდები“ მოეხსნას წინაპირობა - „ადამიანის ბიოლოგია და პათოლოგია“ და წინაპირობად განესაზღვროს მხოლოდ 2 სასწავლო კურსი: „უჯრედის ბიოლოგია“ და „ბიოქიმია“;
3. საგანში „დაავადებების ბიოლოგიური საფუძვლები“ საკონტაქტო საათების კვირეული განაწილებით 2/0/1/1, ლაბორატორიული მეცადინეობები შეიცვალოს სემინარული მეცადინეობებით საკონტაქტო საათების კვირეული განაწილებით 2/0/0/2.

რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამას “კომპიუტერული მეცნიერება”, აქ გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

1. პროგრამას დაემატოს ახალი არჩევითი სასწავლო კურსები:

სასწავლო კურსის სახელწოდება	ფორმატი	კრედიტების რაოდენობა
1. კომპიუტერული თამაშების შემუშავების საფუძვლები (Base of Game Development)	ფორმატი : 1/0/0/2, 1 ლექცია + 2 ლაბორატორიული, 45/80 დაშვების წინაპირობა: 1) ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1(C++) 2) ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	5
2. პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება (Software Testing)	ფორმატი : 1/0/0/2, 1 ლექცია + 2 ლაბორატორიული, 45/80 დაშვების წინაპირობა: ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2	5
3. ეფექტური თანამედროვე C++ (Effective modern C++)	ფორმატი : 1/0/0/1, 1 ლექცია + 1 ლაბორატორიული, 30/95 დაშვების წინაპირობა: 1) ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1(C++), 61 ქულა და მეტი	5

	2) ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები, 61 ქულა და მეტი 3) ინგლისური ენის 10 კრედიტი	
--	---	--

2. არსებულ სასწავლო კურსში „ალგორითმების გაღრმავებული კურსი“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

სასწავლო კურსი	შეიცვალოს	
	რა	რით
ალგორითმების გაღრმავებული კურსი	კრედიტების რაოდენობა: 10 ფორმატი : 1/0/0/2, 45/205 წინაპირობა: 1. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++) 2. ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	კრედიტების რაოდენობა: 5 ფორმატით : 1/0/0/2, 45/80 წინაპირობით: დაპროგრამების საფუძვლები 1. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C++) (61 ქულიდან) 2. ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები (61 ქულიდან) ინგლისური ენის 10 კრედიტი

სამაგისტრო პროგრამაში “ქიმია” უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები: პირველი მოდულის არჩევით სასწავლო კურსს “კომპლექსნაერთები ელემენტ (მეტალ) ორგანული ლიგანდებით” წინაპირობიდან მოეხსნას “კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზი-1” და წინაპირობად დარჩეს მხოლოდ “თანამედროვე ქიმიის თეორიული საფუძვლები”.

ქალბატონმა მაგდა ალანიამ აღნიშნა, რომ “ეფექტური თანამედროვე C++” ავტორი და ლექტორი არის დეპარტამენტის პროფესორი კობა გელაშვილი; “კომპიუტერული თამაშების შემუშავების საფუძვლების” ავტორები და ლექტორები იქნებიან მოწვეული პედაგოგები ალექსანდრე ლაშხი და თორნიკე სულაძე. მათ აქვთ დარგის მაგისტრის ხარისხი და ამჟამად სწავლობენ დარგის სხვა სამაგისტრო პროგრამაზე. რაც შეეხება საგანს “პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება”, კურსის ავტორი და ლექტორი იქნება მოწვეული პედაგოგი ბელა გაბელაია, რომელსაც აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ქალბატონმა მაგდამ დამსწრეებს გააცნო მოწვეული ლექტორების მოკლე ბიოგრაფიები და ყურადღება გაამახვილა მათ პედაგოგიურ გამოცდილებაზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კურსებზე გაზრდილია შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვრები, თუმცა რეკომენდაცია იყო, რომ მთელი პროგრამისთვის ეს მაჩვენებელი ყოფილიყო იდენტური.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნ.დორეულმა. მან ახსნა-განმარტება გააკეთა საბაკალავრო პროგრამაში “გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია” შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს შორის სჯა-ბაასი გამოიწვია იმ საკითხმა, რომ საბაკალავრო პროგრამის “კომპიუტერული მეცნიერება” ზოგიერთი კურსის წაკითხვა დაევაღათ პირებს, რომელთაც აქვთ მხოლოდ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი. ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება გააკეთა კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მ.ხაჩიძემ. მან აღნიშნა ამის უფლება აქვთ, თუ ლექტორს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია. აღნიშნულ პირებს კი აქვთ ასეთი გამოცდილება, რაც მათ მიერ წარმოდგენილი CV-ებით დასტურდება.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა სასწავლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სასწავლო პროგრამებში.

6. მოისმინეს: მიმდინარე საკითხების შესახებ.

ა) სიტყვით გამოვიდა ბიოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი დ.ძიძიგური. მან აღნიშნა, რომ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა დეკანს ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, რათა დაწესდეს პროფესორ გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდია ბიოლოგიის მაგისტრატურაში (მოდული მორფოლოგია) და გამოცხადდეს კონკურსი აღნიშნული სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსის პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა მოცემულია მისი განცხადების დანართებში (იხ. დანართი 5). ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრას (ყოფილი უჯრედისა და განვითარების ბიოლოგიის კათედრა) მრავალი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რეგენერაციის ევროპული ასოციაციის პრეზიდენტი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გრიგოლ თუმანიშვილი. 2016 წელს შესრულდა პროფ. გ.თუმანიშვილის დაბადებიდან 90 წელი. ამასთან დაკავშირებით, მორფოლოგიის კათედრის აკადემიურმა პერსონალმა მიმართა თხოვნით შპს „გეა“-ს, რათა გამოეყოთ თანხა პროფ. გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდიის დასაწესებლად. 2016 წლის ბოლოს შპს „გეა“-ს დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ 2017 წლიდან ორი წლის ვადით გამოიყოფა თანხა (წელიწადში 2400 ლარი) პროფ. გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდიის დასაწესებლად.

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი სამაგისტრო თემები (იხ. დანართი 4).

დაადგინეს: ა) დაწესდეს პროფესორ გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდია ბიოლოგიის მაგისტრატურაში (მოდული მორფოლოგია) 2017 წლიდან 2 წლის ვადით.

ბ) დამტკიცდეს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი სამაგისტრო თემები (იხ. დანართი 4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

